



ქართული ქრონიკა

დამფუძნებელი,
1989 წლი.
№- 57

გოიკობი
საჭოთა
პრევენცია!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

გამოცემის 1988 წლის 10 მაისიდან

ინტენსივ-დემოკრატიული პარტიის საბაზო უკეთესობა

აშშ-ის კრედიტებს 2-6 ჯორჯ ბუშს,
აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს 2-6 დენი კუილს
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
მთავარი კომიტეტის

მიმართვა

გაბრუნო კრედიტებს! გაბრუნო ვიცე-პრეზიდენტს!
თქვენ მოგმართავენ მსოფლიოს ერთი პატარა, მაგრამ უღამაზესი კუთხიდან, რომელიც დასახლებულია ძველი, მდიდარი კულტურითა და ათასხუთასწლოვანი ქრისტიანობის მატარებელი ერთი ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე პირველ ათასწლეულში ჩამოყალიბდა და მიუხედავად მტრული ქვეყნების გარემოცვისა და მრავალგზისი შემოსევებისა, ქართული სახელმწიფოებრიობა XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ მის დაპყრობამდე არსებობდა.
1918 წელს საქართველომ აღიღინა დამოუკიდებლობა, და მაშინ, როდესაც რუსეთის ყოფილ იმპერიას ანარქია, ტერორი და ბოლშევიზმი დაეპატრონა, საქართველოში ჰუმანიტარული დემოკრატია სუფევდა მრავალპარტიული პარლამენტით, რაც ქართველი ერის მაღალ პოლიტიკურ კულტურასა და დემოკრატიულ ბუნებაზე მიტყვევებს.
1921 წელს, რუსეთის უკვე "წითელი" იმპერიამ, ხელმოწერა დაიპყრო ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო და მოსპო ქართველი ერის რჩეული ნაწილი. სტალინურმა ტერორმა 30-იან წლებში ის ხალხიც შეიწირა, რომელიც 1924 წლის გენოციდს გადაურჩა.
თითქმის 70 წელია, რაც ქართული მიწა ოკუპანტის ჩეკებით ითევლება; თითქმის 70 წელია, რაც თავისუფლების სულს უღმობლად ებრძვიან მტრები ჩვენს სამშობლოში, მაგრამ ქართველი ერი ვერ გატეხეს, ვერ მოსპეს და თავისუფლებისა და დემოკრატიის უკვდავი იდეა ვერ ამოშალეს მისი ცნობიერებიდან.
"გარდაქმნად" და "საჯაროობად" წოდებულმა სიყალბემ დასავლეთის სამყარო არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში და არც ხელი ააღებინოს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა მხარდაჭერაზე.
ჩვენ ბატონ პრეზიდენტს რამდენიმეჯერ მივმართეთ განცხადებით, მაგრამ თეთრი სახლიდან პასუხი არ მიგვიღია. გვსურს, რომ ეს ბატონი პრეზიდენტი მოუცვლელბას მივაწეროთ და არა თეთრი სახლის გულგრილობას ჩვენი მცირერიცხოვანი ერის მომავლისადმი, საერთოდ, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებისადმი.
გაბრუნო კრედიტებს! გაბრუნო ვიცე-პრეზიდენტს!
ამა წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდგომ ბატონმა ჯესი ჰელმსმა სენატში შეიტანა საქართველოსთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტი. ამჯერად კონგრესის წევრი ოპიოს შტატიდან ბატონი მაკევენი დგამს ამ კეთილშობილურ ნაბიჯს და ჩვენც ვთხოვთ იმ დიადი დემოკრატიის სახელით, რომლის ბურჯი და დამცველიც თქვენი ქვეყანაა, ხელი შეუწყეთ ამ ქველმოქმედურ საქმეს, საქართველოს კანონიერი უფლებების აღდგენას და თქვენი, ბატონ პრეზიდენტო და ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ავტორიტეტი და ძალა შეაშველოთ ბატონი მაკევენის რეზოლუციას.

განწყობილი საქართველოსადმი, დაინტერესებულია მისი ისტორიითა და კულტურით.
ბატონმა რობერტ მაკევენმა მასპინძლებს აღუთქვა, რომ ის ყოველ ღონეს იხმარს, რათა კონგრესმა დაამტკიცოს საქართველოს საკითხზე შემუშავებული პროექტი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო 1921 წლიდან არის ოკუპირებული და ანექსირებული რუსეთის იმპერიის მიერ და აშშ ყველანაირად შეეცდება დაეხმაროს ქართველ ერს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საქმიანი შეხვედრა ამერიკულ კონგრესთან

9 დეკემბერს, სალამოს, ამერიკელ კონგრესმენს, ბატონ რობერტ მაკევენს შეხვდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამი წარმომადგენელი: პარტიის თავმჯდომარე გიორგი ზანტარია, პოლიტიკური მდივანი მამუკა გიორგაძე და პრეს-მდივანი ირინა სარიშვილი. შეხვედრა, რომელიც შედგა მამუკა გიორგაძის ბინაზე და უაღრესად გულბილ, შინაურულ ატმოსფეროში ჩაიარა, გამთენიამდე გაგრძელდა. საუბარში გამოიკვეთა, რომ კონგრესმენი მეტისმეტად კეთილად არის

რესის ეს ნაბიჯი ჩვენს სამართლებრივ ბრძოლას თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობისა და ქრისტიანობის იდეალებისათვის კიდევ უფრო გააძლიერებს.
კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა, ბატონო კონგრესმენო! დემოკრატია და გულგონი მეთუღესთან და თქვენს ოთხ შვილთან ერთად!
დემოკრატია დალოცოს ამერიკელი ხალხი რომელიც იცავს ადამიანთა და ჩაგრულ ერთა უფლებებს!

2-6 კრედიტს მაკევენს

გაბრუნო კრედიტებს!
უპირველეს ყოვლისა, გვსურს, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩვენი ორგანიზაციების სახელით მადლობა მოგახსენოთ იმ რეზოლუციისათვის, რომელიც საქართველოს ეხება.
თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხისათვის კონგრესის მიერ თქვენი რეზოლუციის დამტკიცება იქნება დიდი მორალური მხარდაჭერა. კონგრესის ეს ნაბიჯი ჩვენს სამართლებრივ ბრძოლას თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობისა და ქრისტიანობის იდეალებისათვის კიდევ უფრო გააძლიერებს.
კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა, ბატონო კონგრესმენო! დემოკრატია და გულგონი მეთუღესთან და თქვენს ოთხ შვილთან ერთად!
დემოკრატია დალოცოს ამერიკელი ხალხი რომელიც იცავს ადამიანთა და ჩაგრულ ერთა უფლებებს!

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ზანტარია
საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი კაკაბაძე
საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ვახტანგ ტალახაძე

კაბივისცემის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი:
თავმჯდომარე გ. ზანტარია, პოლიტიკური მდივანი მ. გიორგაძე, მდივანი ი. ძაღაბიშვილი, პრეს-მდივანი ი. სარიშვილი, წევრები: მ. ჩახავაძე, გ. ახალაიძე, ვ. ხუბუანიშვილი, საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე შ. გუდავა.

საქართველოს ეროვნული ხსენს მთავარი კომიტეტი განსხვავება-მიმართვა ჩუმიანი ეჩისადმი

საქართველოს ეროვნული ხსენს მთავარი კომიტეტი მიმართავს განცხადებას რეზინეი ხალხის ბრძოლას კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ და დემოკრატიისათვის, და მთელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით ღრმად მწუხარდება გამოცემის 1989 წლის დეკემბერში რეზინეიში დატრიალებული ტრაგედიის - მკვლელობის, რეზინეიში მასობრივი დახვრატის გამო.
მთელი არსებითი იზიარებას საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას. ჩაუშვას სისხლიანმა რეზინეიში დატრიალებული ტრაგედიის მემორიალური დასახელება, რეზინეის 1989 წლის 22 დეკემბერს აღსასრულ-მომწყვდელად დაიდგას. სოციალისტური რეზინეის მთავრობის საზარდად მმართველობას ისტორია სანაგვე ყუთში გადაუხაზავს, რათა ეროვნულ და საგულაგო-სახელმწიფო და დემოკრატიული სახელმწიფო.
რეზინეის მორაინობის იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის, სათავეა იმ გორგობისა, რეზინეის მმართველის ხელშეკრულების ორგანიზაციის იარაღის ძალით გაა-

მთავარი მის მიმართ დაკავშირებული ეროვნული ძველები და რეზინეი მიმართული აღნიშნულ კვლავ ახალ და ახალ უბედურებებს უზღავდებს. რეზინეიში დატრიალებული ტრაგედიის ამ იმპერიის არსებობის უშუალო შედეგია, რადგან, რეზინეიში ეროვნული ხსენს რეზინეიში დატრიალებული ტრაგედიის, ვერც რეზინეიში და ვერც აღნიშნულ-მომწყვდელად. ამიტომ, უნდა დაინიშნოს ვარგაშის ხელშეკრულების ორგანიზაციის ამიტომ, უნდა დაინიშნოს რეზინეის მთავრობის ხელშეკრულების ორგანიზაციის რეზინეის იმპერიის წინააღმდეგ მთავრობისათვის მიმართული მთავრობის ძალით გააძლიერებს. რეზინეის იმპერიის წინააღმდეგ მთავრობისათვის მიმართული მთავრობის ძალით გააძლიერებს. რეზინეის იმპერიის წინააღმდეგ მთავრობისათვის მიმართული მთავრობის ძალით გააძლიერებს.
კვარცილეს და სფყალბადს ღმრთი უსამართლობის წინააღმდეგ მიმართულ ძალად!

საქართველოს ეროვნული ხსენს მთავარი კომიტეტი

მეცნიერება

„მეცნიერება, მკვლელობა და საზოგადოებრივი უსამართლობა...“

აღმავლობით ჩაიარა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის II კონგრესმა. ორგანიზებულობამ, პოზიციების შინაპარტიულმა სტაბილურობამ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მტკიცე უწყვეტი პლატფორმამ, კიდევ ერთხელ დააჩაბა ქართველ საზოგადოებასა და სტუმრებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ აღებული გეზის მართებულობა, პოლიტიკური სიტუაციებში მყისიერი გარკვევისა და მოცემული მომენტისათვის ერთადერთი და სწორი, გამართლებული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ამ სტატიის არ ვაპირებ კონგრესის მუშაობის გაანალიზებას. უახლოეს დროში ეს საკითხი საკმაოდ იქნება გაშუქებული 1993-IV დასის საგანმრთლებლო ორგანიზებში.

მხოლოდ ერთი პრობლემის გამო გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ჩემი აზრით, პოლიტიკურად გამართლებულიც 1933-ის ცნობილი პოზიცია ეთნოკრიზისის, როგორც ურთულესი პოლიტიკური მოვლენის მიმართ. ტარდებოდა რა კონგრესისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, უამრავი საკითხი იქნა განხილული, მათ შორის, რა თქმა უნდა, ეთნოკრიზისის გამოწვევები სოციალური და პოლიტიკური მიზეზებიც.

კონგრესის განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდა პროგრამის ძირითადი ნაწილის მეთხვე მუხლის განხილვას, რომელიც ეხება მომავალი საქართველოს მმართველობის სტრუქტურაში თეოდემოკრატიის ადგილს. სხდომების მსვლელობისას დეტალურად გაანალიზდა და ჩამოყალიბდა თეოდემოკრატიის საზოგადოებრივ აზრზე შესაძლებელი ზემოქმედების სხვა და სხვა ასპექტი. კონგრესმა ეს მუხლი თითქმის უცვლელად მიიღო.

მუხლი მე-4: ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ ბაზის წარმოადგენს თეოდემოკრატიის, რაც ტრადიციული დემოკრატიული ღირებულებების გარდა გულისხმობს ეკლესიის წამყვან როლს ერის ცხოვრების მორალურ საკითხებში.

კონგრესზე ამ მუხლმა ისევე გამოიწვია კამათი. მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მუსულმანი ქართველების შესაძლო უკმაყოფილება.

საკამათო აზრის მთლიანად მოსახსენებლად საკმარისია პროგრამის მე-5 და მე-8 მუხლების მოყვანა:

მუხლი მე-5: ჩვენი დევიზია-საბა-რევილი ძარმევილები-სამისი! - რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ერთეულების უფლებების შელახვასა და პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვას.

მუხლი მე-8: პარტია არ ემსახურება რომელიმე ცალკე კლასსა თუ ჯგუფს, ის მთელი ერის ინტერესების დაცვისათვის იბრძვის.

1933 ზეკლასობრივი პარტიაა. ამ მუხლებით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ერთეულების ქართველებთან თანასწორობა გარანტირებულია, ხოლო ხალხის უფლებების შელახვებულობა და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვებულობა სინდისის (რწმენის) თავისუფლებასა და ხელშეუხებლობასაც გულისხმობს.

ასაც გულისხმობს. სამწუხაროდ, აჭარის მოვლენებს ზოგი არაკომპეტენტური პიროვნება ხშირად ამბიციური განწყობილებითაც შესცქერის, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემასთან აიგივებს მას და მსგავს "ეთნიკურ წინააღმდეგობასაც" წინასწარმეტყველებს", რაც მიუღებელია და, ვიტყვი, პროვოკაციულიც, რადგან აჭარა - ეს საქართველოა, როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ერთი დიდი განსხვავებით, მისი მოსახლეობა ძირძველი ქართველია და არა ეთნიკური ერთეული, როგორც ზოგიერთს სურს წარმოვიდგინოს.

აქ ცხოვრობს ქართველი ერის ის გამწარებული ნაწილი, რომელმაც თურქთა 300 და რუსთა 110 წლიან ბატონობის უღელს გაუძლო და ქართველობა დღემდე შეუბღალავად მოიტანა. (აღბათ უადგილოა ამ ნიუანსის ჩართვა, მაგრამ ზოგმა "ქართველი" თუ "თურქ-მესხმა" ქართული ენაც კი სულ რაღაც ორმოცი წლის განმავლობაში დაივიწყა იმ უბრალო მოტივით, რომ მათ ქართულ სკოლებს არ უხსნიან. არა მგონია ვინმე დამემოწმოს, რომ აჭარლებს თურქები 300 წლის განმავლობაში მხოლოდ ქართული ტრადიციებით ზრდიდნენ).

რაც შეეხება მუსულმანურ სარწმუნოებას, მოვიყვანო ფრაგმენტს ზ. ჯიჭინაძის წიგნიდან "კათოლიკური ეკლესია ბათუმში" (თფილისი, 1903 წ.).

"... ქართველთა გათავისებულების დროიდან, ქრისტიანთა გასათავისებულებათ, შესაძლებლად და მოსაკლავად შემდეგ ადგილებში იქმნენ თავ-საკვეთი და სახრჩობელა გაკეთებული: ერთი სახრჩობელა გააკეთეს კინტრომის ხეობაზე, სადაც ახრჩობდნენ ქრისტიანებს და მით სპობდნენ ვინც კი არ გათავისებებოდა. მეორე სახრჩობელა და თავ-საკვეთი გააკეთეს ბათუმში, სწორედ იმ ადგილისაკენ, სადაც დღეს აღშენდა ბათუმის ქართველთა ტაძარი (ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი კვლავ კურთხეული უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიერ 1989 წლის 13 მაისს. მ. კ.), მესამე სახრჩობელა მარა-დიდთან (ხელვაჩაურის რაიონი. მ. კ.), მეოთხე ართვინის ახლოს, ხიდთან... თითქმის ყველა ადგილებში, სადაც კი ოსმალებმა ფეხი შესდგა და დაიჭირა, რაც ამ თავ-საკვეთი და სახრჩობელას წინაშე ქართველთა სისხლი დაღვრიდა, ყველა მისგან დიდი ტბა შესდგებოდა და აწერა რომ იქმნეს, ვგონებ ოცდა ოთხ ტომში ვერ მოთავსდებოდა არის, ხოლო იმას კი ვიტყვი, რომ ბათუმიდან მთელს დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს საზღვრებამდე არ მოიპოვებდა არც ერთი მტკაველი მიწა, რომ მასზედ ქართველ წამებულთ სისხლი არ იქმნეს დაღვრილი და ამ სისხლით შეზღუდილი არ იყოს ჩვენი მიწა-მამული, ერთი სიტყვით, ამ კუთხის ყოველ გოჯს მიწასაც კი აქვს თავის დიდი მნიშვნელობა, იგი მოწმეა ქართველთა ამაღლებისა და დაცემისაცა, იგი ჩამხუტებელია ტანჯულ ქართველთა სისხლისა და ძვლებისა..."

საქართველოს ისტორია მეტ-ნაკლებად ყველას მოგვიხსენება, ზემოთ მოტ-

ანილ პატარა ფრაგმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ რა ტანჯვა გადაიტანა საქართველოს ამ უმწვენიერესი კუთხის მკვიდრმა და, მიუხედავად ამისა, დღეს ქედის, შუახევის, ხულოს რაიონებში ჩამსვლელის სმენას არ შეიძლება არ მოხვდეს შუასაუკუნოვანი საქართველოს საამო ლულუნი, არ შეიგრძნოს ქართული დარბაისური სული ან არ ეგემრიელს დიდი ნენეს გამოცხვარი ჯვარდასმული მკვადი. ხოლო თამარის ციხით აჭარელი კაცი ისევე ამაყობს, როგორც თბილისელი - ნარიყალათი, გორელი - გორის ციხით, მცხეთელი - სვეტიცხოვლითა თუ მესხი - ვარძიით.

სხალთის კვლავ აღდგენილ ეკლესიაში დღეს ძირძველი ქართველი კვლავ ანთებს სანთელს, აჭარულ ოჯახებში ძველი ქართული შემართებით ამბავებენ საქართველოს სამხრეთ საზღვრებს. აჭარის მკვიდრმა ქართველებმა შეინარჩუნეს ენა, მამული და, შეძლებისდაგვარად, ქრისტიანული საგანძური.

"... პირველ დროის ჩვენი მამები დიდად სასოვდნენ საპატრიარქოებში ქრისტიანობისათვის პყრობილნი და ტანჯულნი, იმედს და სასოებას არ ჰკარგავდნენ და ოსმალთაგან დევნილნი თავიანთ მამა-პაპის სიწმინდესაც დიდად უფრთხილდებოდნენ და ყოველს ძვირფასს ნივთს მიწაში ფლავდნენ და მარხავდნენ, რადგანაც მათ მომავალში ქართველთა აღდგენის იმედიც უტყუარად სწამდათ: იგინი ფიქრობდნენ, რომ დრო ცვალებადია, მრისხანე ისლამის ხანა გაივლის, ჩვენი მომავალი თაობა თავის ღმერთს ძალს მოიკავს. საქართველოში, ქართველთა შორის, ქრისტიანობის ხმა კვლავ იწყებს გახმაურებას და მაშინ ამ ჩვენი მიწაში ჩაფლულს სიწმინდესაც მიეცემა მკვდრეთით აღდგენა, სინათლის სხივის დაშუქება... მართლაც განვლო ყამმან და... სადაც ადრე თათრების წინაშე ქართველთა წმინდა გვამები ილახებოდა, ... სადაც მრავალ ქართველთა მშობლიური ქვეყნის გოდება, ცრემლი და სისხლი ცასაც კი მისწვდებოდა... დღეს ასეთ ტანჯულ მამათ საფლავებზედ, ჩვენდა მოულოდნელად ქართველ ქრისტიანობის ხმის დაღვრებას დასაწყისი მიეცა, დღეს მათს დატანჯულ საფლავებზედ ვხედავთ ქრისტეს მოძღვრების ზარის რეკას, ქართველთა დატანჯულთა მამათ მიძინებულ საფლავების გასუფთავებას, დამდაბლებულ ღმერთს ქრისტიანთა დაღვრების აღდგომას" (ზ. ჯიჭინაძე, იქვე).

ლიახ, გაჩეხილია ისედაც იარებით დასერილი აჭარელი კაცის სხეული და გული, მაგრამ მას ხელი არასდროს გაუშვია საქართველოს დამცველი ხმლისათვის. დროდარო ძალას მოიკრებდა, შემართული ხმლით ებგერებოდა მტერს... სელიმ ხიმშიაშვილის, ჰაიდარ, მემედ აბაშიძეების, მეველ დიასამიძისთანა ვაჟკაცების სიცოცხლის ფასად უჯდებოდა აჭარას დაუძღვრებულ დედა საქართველოსთან დაბრუნების ყოველი მცდელობა.

საუკუნის განმავლობაში იშუშებს უმტკივნეულეს სულიერ ჭრილობას მისი გული, ძალას იკრებს და ნელნელა მიიწვევს ღმერთის სანათურისაკენ. ამბობენ: "ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე არ ლაპარაკობენ". დღეს და

ყოველთვის ქართველისათვის ზნეობრივად კრედი უნდა იყოს, რომ ხალხს, რომელსაც ბედუკულობით განგებით მწვალებელი ისტორიული ხვედრი ერგო, ნაიარევზე მარტივი არ უნდა დავაყაროთ. არ უნდა დავივიწყოთ ის უდიდესი ტვირთი, რაც ღვთის განგებით აჭარის მკვიდრმა ქართველებმა იტვირთეს - ხელი შეემაღლათ მუსულმანური სარწმუნოების დასავლეთ საქართველოში გავრცელებისათვის.

ლიახ, აჭარელ კაცს, ძირძველ ქართველს, ქართველობის შესხენება არ სჭირდება და ის, ვინც ოთხი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებულ კუთხურობის ფენომენის, გაუთვითცნობიერებელი "მუსულმანობის" გამო მის ქართველობას ეცვემე აყენებს და "ჭკუის მასწავლებლურ", "ამღვრდელურ" პოზიციას იკავებს, შესაძლებელია მკრეხელის როლშიაც გამოვიდეს; დაუპირისპირდეს, უარეს შემთხვევაში, ანტიპროპაგანდისტის როლიც შეასრულოს და ღმერთის ქართველური რწმენისაკენ შემობრუნებისა და ერის აღორძინების გზას გადაეღობოს.

ვისაც დახმარება სურს (თუ თავის გამოჩენა არა, ან კიდევ სხვა რამ) და ძალა ან სიმართლე არ შესწევს, უმჯობესია თავი შეიკავოს და რაც ღვთის განგებით ევალება, ის აკეთოს. არადა, შესაძლებელია, რომ დაწვინებული თავის "სიმართლეში და კეთილმისურნობაში", სინამდვილეში, ღმერთისგან შორს იდგეს და ეროვნული პოლიტიკის ფარს ამოფარებული გადაიჩეხოს, და ნებისით თუ უნებლიედ, საქართველოს ზნეობრივი და მორალური, თუ გნებავთ, ეროვნული მოძრაობის ფასეულობანიც თან ჩაიბანოს. ეს უკვე ლაფსუსი არ იქნება - ეს ლაღატის ტოლფასია!

ახლა მსურს მოვიყვანო ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტი:

ხულოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში ა/წ მაისის თვეში რამდენიმე ჯარმაგმა მოხუცმა დახურულ ჯამეში შეაღწია და ლეკულობდა. ადგილობრივი ხელისუფლების თავგამოღებული მესვეურების შეუვარდნენ მათ და სასტიკად დააარბიეს. ამ შემთხვევამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია აჭარის მკვიდრთა შორის. ბათუმის მაის-ივნისის ანტისაჯარისო აქციებზე არაოფიციალური ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც დაგმეს ეს ანტიხალხური მოქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მამაპაპური სარწმუნოებისა და ერის აღმავლობის ნათელ გზაზე ვდგავართ, არავის, არც ახლა და არც არასდროს ექნება უფლება უხეშად ჩაეროს სარწმუნოებრივ თუ პირად გრძობებში. ბრძენი ილიაც ხომ ასე გვასწავლიდა: სარწმუნოება სინდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი".

მაგრამ ბოლშევიზმის ბრმა მსახურნი იმდენად რობოტულად არიან ძალადობასა აღამიანთა ელემენტარული უფლებების დათრგუნვაზე დაპროგრამებულნი, რომ "ვარდის კონასაც კი როზგად გამოიყენებენ". მარიონეტებმა არ უწყვიან როგორი წმინდაც არ უნდა იყოს ქმედების მიზეზი, ძალადობითა და ზნეობრივად დაცემული მეთოდებით მიღწეული შედეგები არამყარია და უდღეური, თავის არსში აღამიანთა უფლებების დამთრგუნველი და გამაწვობელი. ამიტომ არა აქვთ მორალური უფლება კომუნისტური მავიის მესვეურთ ბინძური ხელი აფათურონ პატროსანი, მშრომელი აღამიანის სულში და მის, თავისუფალ სამყაროს მიერ აღიარებულ - სინდისისა და რწმენის თავისუფლებას ნაცადი სისხლიანი ხელის კვალი დააჩნიონ.

სწორედ ასეთმა "ხელებმა" გამოზა-

10 დეკემბერი აღმოსავლეთის უფლებათა დაცვის დღეა

რღეს ის გადაგვარებული, უსამშობლო კოსმოპოლიტები, სულიერი პროლეტარები, რომლებიც მართლა გაერთიანდნენ მაგრამ არა "მსოფლიო ბედნიერების დასამკვიდრებლად", არამედ საბჭოური მაფიის შესაქმნელად, სიცრუისა და ბოროტების განსამტკიცებლად, მშრომელი და მოაზროვნე ადამიანის დასაბრუნებლად და დასამონებლად.

ასეთი "აღზრდილები" საქართველოს ყველა კუთხეში მოიძებნებოდნენ და, სამწუხაროდ, დღესაც საკმაოდ მოიძებნებიან... გაიყიდა ქართული მიწები, შეიცვალეს გვარები და ეროვნება, საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან "ამოიყვანეს", ქართველთა ბარები დასაჩივრად "უფროსი ძმებისაგან" მკვლევები დაიქირავეს... რამდენი ნატრობს დღესაც 1937 წელს კვადრატსა და კუბში.

რა გასაკვირია, თუმცა ძალზედ სამწუხარო, რომ რამდენიმე ასეთი დაავადებული ქართველი აჭარაშიც მოიპოვევებოდეს.

ვინ არიან ისინი?

- ვინც 70 წლის განმავლობაში თრგუნავს და სიცრუით იმონებს აჭარელ კაცს, ვინც მიზანდასახულად აძულებს მას დედა სამშობლოს, ვინც ყავახანებასა და კაბინეტებში აუგად მოიხსენიებს უწმინდესსა და უნეტარესს, ვინც მხეცურად არბევს უდანაშაულო მოხუცებსა და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლთ, ვინც სტიქიური უბედურებით დაზარალებულთათვის უანგაროდ შეგროვილ სანოვანებსა და ტანსაცმელს ჰყიდის ან თავისთვის იტოვებს, ვინც ფულისა და ავტონომიის სტატუსით მინიჭებული "უფლებებითა" და "შეღავათებით" სარგებლობისათვის სინდისის ძარღვი გაიწყვიტა, ადამიანობა და ქართველობა გაჰყიდა.

და აი, მათი ინტერესების უშუალო გამომხატველი და დამცველი, გარდაქმნის ხელშემწყობი აჭარის საზოგადოება - მხსნი.

ბაჭტისპირეთისა და მოლდავეთის "ინტერფრონტის" მსგავსი "პოლიტიკური ორგანიზაცია", რომელიც... "ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კონსტიტუციას, კანონმდებლობასა და მასზე დაყრდნობით მთელ თავის მოღვაწეობას წარმართავს გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის დამკვიდრებისათვის... რომელიც ხელისუფლების ორგანოებისაგან, ყველასაგან მოთხოვს... პროვოკაციულ-ექსტრემისტული აქციების აღკვეთას ჩანასახშივე".

შეგნებულად არ ვასახელებ ამ "ორგანიზაციაში" შემავალ პირებს, არც მათი ცნობილი კომუნისტური ფარისევლობით შედგენილი პასკვილის განხილვას მოვყვები, ერთი კი მინდა ვთქვა, რომ ამ აქციდენციური, სიცოცხლის უნარიანობას მოკლებული, ფარატიანა "პროგრამული ლოკატორის" ავტორები არიან ადამიანები, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართული დედაარსი, დვრიტა ასულდგმულბედით, ჩვენს კუთხის ჭეშმარიტ თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდნენ, საქართველოს თავისუფლების დამთრგუნველი ბოლშევიკური პარტიის, კრემლისა და მათთან ნებსით თუ უნებლიედ კოლაბორაციონისტურ ალიანსში შესული ბანი სახაროვის ნეოიმპერიული იდეით შეიარაღდნენ და საქართველოს დატყუმა აცემის ასალი ეტაპის დაწყებას ღამობენ. უეჭველია, მხსნის მიერ შემუშავებული "პროგრამა" - ესაა ხალხის თვალში ნაცრის შეყრა. ორგანიზაციის (როგორც ხალხმა ირონიულად უწოდა: "აჭარის ხსნის კომიტეტი", "სკამების ხსნის კომიტეტი") "საკმიანობა" სხვა

არაფერია, თუ არა აჭარის ავტონომიის სტატუსით მინიჭებული "შეღავათების" შენარჩუნებისა და ადგილობრივი თუ იმპერიული ტოტალიტარული მთავრობის არსებობის გახანგრძლივების უსუსური მცდელობა.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა: არიან თუ არა ისინი ეროვნული მოძრაობისათვის საშიშნი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შემდეგნაირად შეიძლება:

მხსნი აჭარის მარიონეტული "მთავრობის" "ქვეორგანიზაციაა", რომელსაც უშუალოდ საოლქო აპარატის კორუმპირებული პარტიულ-ბიუროკრატიული, სამართლებრივი, მწარმოებლური თუ კომერციული მაფიის წარმომადგენლები კურირებენ, ისინი საკუთარი ნებით ბოროტებასთან შეკავშირებულნი, ეროვნული მოძრაობის მოღალატე პირები არიან და ამიტომ მათგან რაიმე სახარბიელს მოელოდე, სიბეცე იქნება.

(რთ შეიძლება აიხსნას, თუ არა მათი შავბნელი ჩანაფიქრით, რომ მხსნი - ის გაბერილ სიგში ბევრი პატიოსანი ადამიანი განზრახ არის შეყვანილი?).

ერთი კი უტყუარია, რომ ხალხი, ისევე როგორც კომპარტიას, მათ მხარს არ უჭერს. მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მხსნი-ს შეუძლია მცირე ძალების გამოყენებით მიმართოს პროვოკაციულ ქმედებას, განსაკუთრებით არაოფიციალურ ორგანიზაციათა მიმართ...

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საფუძველს არ გვაძლევს, რომ მისი არსებობა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მივიჩნიოთ, რადგან, როგორც ითქვა, ის არსებული რეჟიმის ბრმა დანამატი და ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც კომპარტია, სეპი, და სხვა სატელიტური ინსტიტუტები.

არაა გამორიცხული, რომ ადგილობრივი მაფიისათვის მხსნი-ს დამზღვევი "ელექტრომწყობილობის დამცველის" როლს ასრულებდეს. მისი ხელით აკეთოს ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო ავტონომიის სტატუსის განმტკიცების უკეთური საქმე და, საჭიროების შემთხვევაში, ან ხალხის თვალში ავტორიტეტის მოსახვეჭად "გადასწვას" კიდევ იგი, რათა დროებით მაინც შეინარჩუნოს მთლიანი აპარატი.

უმთავრეს პოლიტიკურ ძალას აჭარაში ხალხი წარმოადგენს, რომლის შემართება და სამართლიანი ნება უდიდეს როლს ითამაშებს საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და, ცხადია, მხსნი-სა და მის კურატორთა დისკრედიტების საქმეშიც.

ჩვენი ხალხი პროვოკაციას არ აჰყვება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მინდა დავასკვნა, რომ საქართველოს "ცხელ" კუთხებთან აჭარის გაიგივება პროვოკაციული აზრია, რამდენადაც პასიურობის მტრობასთან იდენტობა ბოლშევიზმური აზროვნების ნაყოფია და ქართველ ხალხთან აზროვნების ბოლშევიკური მეთოდების გამოყენება დღევანდელ პირობებში სასურველ ქმედითუნარიანობას მოკლებულია. უფრო მეტიც, შეიძლება ამან უკურეპქციაც გამოიწვიოს და ამით თვითონ გახდეს გათულებლისა და "სეპარატიზმის" ინსპირატორი.

ვერავითარი უკეთური ძალა, ვერავითარი მოღალატეობრივი საქმიანობა, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის, აჭარას ეთნიკურ კრიზისში ვერ ჩაითრევს.

აჭარა იბრძოდა, იბრძვის და იბრძობლებს სრულიად საქართველოს თავისუფლებისათვის.

ჩვენთან არს ღმერთი!

30 ნოემბერი, 1989 წელი.

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს მიერ მიღებული დეკლარაცია, ამ დეკლარაციის სხვა სახეობებთან ერთად საბჭოთა კავშირსაც მოაწვდის ხელს. მიუხედავად ამისა, კრემლისტური ხელისუფლება კვლავ უხედავად აღვიდას ადამიანის უფლებებს. ამას აღსაქმნის მიერ ახლახან გამოქვეყნებული 1989 წლის პირველი ნახევრის ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირში სასჯელს იხდის ასევე მათი კონსტიტუციის და სინდისის პატიმარი. ამავე ანგარიშში სასტიკად არის გაკრიტიკებული 9 აპრილს მოხდისში მშვიდობიანი აქციის ბარბარული დარბაზვა, რამაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ადამიანის უფლებათა დაცვის დღესთან დაკავშირებით, ავტორს სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა შეხვედრა ემიგრაციაში მყოფ ეროვნული სამხრეთისთვის ბრძოლისთვის. შეხვედრაზე მრავალი საპროპლაგანდო საკითხი იქნა დაყენებული და განხილული. შემაჯავებელი სიტყვით გამოვიდა აღმოსავლეთის განთავისუფლების სამხრეთისთვის ბრძოლის აღმადგენელი, რომელმაც თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: "1989 წელი ისტორიაში შევა, როგორც მარტისსტულ-დინური ფილსოფიის სრული კრახის წელიწადი".

11 დეკემბრის აქცია

11 დეკემბერს თბილისში, ილიასა და აკაკის ძეგლთან ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, დემოკრატიულმა პარტიამ, კონსტიტუციურ-მონარქისტულმა პარტიამ და ახალგაზრდულმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა ასოციაციამ გამართეს მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 41-ე წლისთავს.

მიტინგი გახსნა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვაჟა მთავრიშვილმა. ილაპარაკა რა ადამიანის უფლებათა დაცვებზე საბჭოთა კავშირში, მან აღნიშნა, რომ მოსკოვში დეკლარაციის მიღების დღისადმი მიძღვნილი აქციის დროს სუკისა და მილიციის ორგანოებმა დააკავეს ამ აქციის 20 მონაწილე.

დემოკრატიული პარტიის წევრმა ვახტანგ ტალახაძემ მომიტინგეთ მიმართა, რომ წუთიერი ლუმილით პატივი მიეგოთ იმათი ხსოვნისადმი, ვისაც წამებით ამოხადეს სული სუკის დიდიგებში.

- ადამიანის უფლებებისადმი დაცინვას წარმოადგენდა სსრკ-ის მიერ დეკლარაციაზე ხელის მოწერა, - თქვა ვახტანგ ტალახაძემ, - საბჭოთა კავშირის სუკი მოწოდებულია მხოლოდ დაარღვიოს ეს დეკლარაცია და არა პირიქით - დაცვას იგი. ამიტომ, ასეთი კომიტეტი ჩვენ არ გვჭირდება, იგი ანხორციელებს იმპერიის ზრახვებს და ამ იმპერიის დაზვერვას წარმოადგენს ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. ეს უზარმაზარი არმია მთლიანად მშრომელი ადამიანის კისერზეა. მათი "წყალობის" დღის მიერ თავისუფლად გაჩენილი მონობაში ვიმყოფებით. საჭიროა პირველ რიგში გავაუქმოთ სუკის პირველადი განყოფილებები უმაღლეს სასწავლებლებში და ამით ხელი შევეწყობთ მის ლიკვიდაციას.

სიტყვა წარმოთქვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია:

- მიტინგის მოწყობა შარშან, 10 დეკემბერს გეჭონდა დაგეგმილი, მაგრამ სუკის აქტიურმა მოქმედებამ ხელი შეგვიშალა. აქციის მომწყობი ორგანიზაციები დღესათვის ვაპირებდით კომიტეტის შენობის ხანგრძლივ ბლოკირებას. თათბირზე გადაწყვიტეთ, ჯერ გა-

მაგრთხილებელი პიკეტი მოვაწყოთ, ხოლო თუ სუკის ხელშეწყობით საქართველოში კვლავ განმეორდება ეთნოკონფლიქტები, მაშინ პროტესტის ნიშნად, შენობა ხანგრძლივ ალყაში მოვატყობთ. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ გაზაფხულზე მესხეთში, სომხებსა და ქართველებს შორის კრემლს დაგეგმილი აქვს მორიგი ეთნიკური კონფლიქტი. მოსკოვის ასეთი გამუდმებული ჩარევა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დღეს საქართველო ქართველებს არ ეკუთვნის... მერწმუნეთ, დამოუკიდებელ საქართველოში არ შეიძლება იყოს ეთნიკური კონფლიქტები, იგი მხოლოდ არსებული სისტემის პოლიტიკური და სოციალური წყობის შედეგია. სწორედ ამიტომ არის ჩვენი ბრძოლა მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, მხოლოდ ამ გზით გადაწყდება საქართველოში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები. არსებულ ხელისუფლებას სურს ხალხი დაარწმუნოს, რომ "პერესტროიკა" და "გლასნოსტი" მათ ზემოდან ებოძათ. სინამდვილეში, რომ არ ყოფილიყვნენ ბუკოვსკი, კოსტაევა და განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ასეთი ჭეშმარიტი რაინდები, "გარდაქმნა ზემოდან" არ იქნებოდა. დღეს საქართველოში ეროვნული მოძრაობა მოღურია, პოპულარული გახდა. ეროვნული მოძრაობა უნდა გახდეს პოლიტიკური მოძრაობა და იგი ჩვენს გატაცებას კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების ძირითადი საქმე. საქართველოს დღევანდელ ყოფას ცხოვრება არ ჰქვია, "პერესტროიკით" გაბრუნებული მასის დიდ ნაწილს არა აქვს შეგნებული, რომ ადრე თუ გვიან "გარდაქმნა ზემოდან" დამთავრდება და მერე ყველაფერი ძველებურად წავა. ასეთ დროს სუკის ბრწყალეები უფრო მკვეთრად გამოჩნდება. ამიტომ, ეს კომიტეტი იყო, არის და კვლავ დარჩება ეროვნული მოძრაობის დახვედრა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ აღარ არსებობდეს იგი. ჩვენ უნდა აღვავოთ იგი პირისაგან მიწისა. ობიექტური სინამდ-

(დასასრული მე-4გვ.)

11 დეკემბრის კვირა

სხვადასხვა

ქართული ჟურნალი

იღვ იქითკენ მიდის, რომ აუცილებლად გავიმარჯვებო.

სიტყვით გამოვიდა ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი კაკაბაძე. იგი შეეხო საქართველოში პოლიტიკური ზნეობის, კულტურის ამოღების საჭიროებას. აღნიშნა: საქართველოს განთავისუფლება აღამიანის საყოველთაო უფლებების დაცვაზე დამოკიდებული, ამ უფლებების დაცვისათვის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

- დღეს საქართველოში რამდენიმე აკონცენტრაციო ბანაკია, - აღნიშნა მან, - მათ შორის არის საგარეჯოსი. წ. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროფილაქტორიუმი, რომლის წლიური შემოსავალი 4,5 მილიონ მანეთს შეადგენს. ამ ტირანული ბანაკის გასაუქმებლად, სადაც უამრავი ადამიანი იტანჯება, დღეს 143 კაცი შიმშილობს. ჩვენი იქ სტუმრობისას ოფიცირებმა უფლება მოგვცა შეგვეტანა ვიდო და ხმის ჩამწერი მოწყობილობანი, ფოტოაპარატი. საგარეჯოსი ეს კოლონია საიდუმლო სამხედრო დაწესებულებას წარმოადგენს და არა სამკურნალო პროფილაქტორიუმს. 13 დეკემბერს პატიმართა დაცვის კომიტეტი კვლავ ეწვია საგარეჯოსს.

მიტინგმა მიიღო დემოკრატიული კავშირის პეტერბურგელი წევრის რუსტინა ლავ მაკუშინკის მიერ წაკითხული რეზოლუცია, რომელიც მიმართულია აშშ-ის სენატისადმი სერგეი კუზნეცოვის დასაცავად.

შემდეგ აქციის მონაწილეებმა სუკის შენობასთან გადაინაცვლეს, გადაკეტეს მისი შესასვლელი და საპროტესტო მიტინგი გამართეს. აქ სიტყვით გამოვიდნენ გ. ჭანტურია, ვ. ტალახაძე, თ. შარმანაშვილი, გ. ზუმბაძე, გ. ცხვილაძე, გ. კალანდანი, ს. ბეგაძე, ბ. გუგუშვილი; განსაკუთრებით ამოღებულ იყო 1923 წლიდან 1933-ის წევრის პოლიო გოგელიას გამოსვლა, რომელსაც 1940 წელს სწორედ აქ, ამ შენობის ჯურღმულების მესამე სართულზე მოუწია ჯდომამ.

ბოლოს დემონსტრანტები გაემართნენ ლენინის ძეგლისაკენ და იქაც გაიმართა ხანმოკლე მიტინგი, სადაც დაიგმო ლენინი, ლენინიზმი და აღინიშნა: "მაღე დადგება ის დრო, როდესაც ლენინის ძეგლს ქართველი ერი ჩამოაგდებს და მის ნაცვლად თავისუფლების ქანდაკებას აღმართავს".

გიორგი მელაშვილი

13 დეკემბერი, ყირიში, სოფ. ზაპარეო

ოცდახუთამდე ყირიმელი თათრის ბანაკს თავს დაესხა სამასი სპეცდანიშნულების ჯარისკაცი. თათრები მოთხოვნდნენ დასახლებას თავიანთ ისტორიულ სამშობლოში - ყირიმში. მათ თავდაცვის მიზნით ბანაკის ირგვლივ ბენზინი მოასხეს. ერთ-ერთმა თათარმა, ისმაილ ბაჯიმი, სხეულზე ბენზინი გადაისხა და ანთებული ჩირაღდნით ხელში ჯარისკაცებისკენ გაიწია. ჯარისკაცებმა იგი წყალმსროლით წააქციეს, რის შედეგადაც ი. ბაჯიმის ცეცხლი მოეკიდა და სრულიად უიმედო მდგომარეობაში

მყოფი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სპეცდანიშნულების ნაწილებს კიდევ სამასი ჯარისკაცი დაემატა. უსაფრთხოების მიზნით მათ წინ ბავშვები და ქალები დაიყენეს, შემდეგ შიგნით შეიჭრნენ და სასტიკად სცემეს მობანაკეები, რის შედეგადაც 59 წლის რიღვან ჩარუხი საავადმყოფოში მოათავსეს, დაპატიმრებულია შვიდი კაცი.

დასასრულ, სპეცდანიშნულების ნაწილებმა ბანაკს ბენზინი მოასხეს და მთლიანად გადაწვეს.

17 დეკემბერი, ნაბაკუნია რაიონი

აქ გაიმართა თათრეთის საზოგადოებრივი ცენტრის (TOL) შეკრება, რომელიც მიეძღვნა მისი დაარსებიდან პირველ წლისთავს. კრებამ განიხილა და შეაჯამა ორგანიზაციის მუშაობის ერთი წლის შედეგები და დასახა სამომავლო გეგმები. ხაზგასმით აღინიშნა და დაიგმო კრემლის რუსიციკატორული პოლიტიკის ინტენსიური გატარების ფაქტი. თათრეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

იყო საუბარი დედაენის იგნორირების, თათრული სკოლების, ბაღების უქონლობისა და სხვა საჭიროებო პრობლემების გარშემო.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან შეკრებაზე მიწვეულნი იყვნენ პარტიის მთავარი კომიტეტის წარმომადგენლები გიორგი ახალაია და ბურამ ჩახვაძე. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გიორგი ახალაიამ.

საბჭოთა ფსიქიატრია ადამიანის "ჯანვრთვების" სამსახურში

საბჭოთა ფსიქიატრიის "დამსახურება" სხვაგვარად მოაზროვნე, პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებების "მკურნალობის" საქმეში დღეს საყოველთაოდაა ცნობილი. მათმა გულმოდგინე ნამოღვაწარმა დასავლეთის ფსიქიატრთა აღშფოთება გამოიწვია, რასაც მოჰყვა მოთხოვნა, ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციიდან გაერიცხათ საბჭოთა "ფსიქიატრები".

საბჭოეთმა 1983 წელს უარი თქვა ყოფილი მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის წევრი ქვეყანა და ამით სცადა თავი დაეღწია სამარცხვინო გაძევებას ასოციაციიდან.

დღეს კრემლის მესვეურნი ურცხვად აცხადებენ, რომ ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენება ადამიანების მიმართ წარსულს ჩაბარდა; ამიტომ საბჭოთა ფსიქიატრთა ღირსია კვლავ გახდეს ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის წევრი. ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში მოწყობილ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა საელჩოს კონსული ვაშინგტონში გ. მარკოზოვი. მან განაცხადა, რომ სსრკ-ში შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც ვალდებულია გამოაშკარავოს ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

შეკითხვას, თუ რატომ უკავიათ დღესაც წამყვანი თანამდებობები ფსიქიატრთა შიგნით იმ პირებს, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ მას დისიდენტების წინააღმდეგ, მარკოზოვი თავი აარიდა.

საბჭოთა ფსიქიატრიის ბოროტმოქმედებათა შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორმა პიტერ რედვეიმ განაცხადა, რომ აღნიშნულ ასოციაციაში საბჭოთა ფსიქიატრთა აღდგენა გააძლიერებს იმ

ძველი გვარდიის პოზიციებს, რომლებიც ასე გულმოდგინედ "მკურნალობდნენ" ანტიბაბჭოური სენით შეპყრობილ ადამიანებს.

მარკოზოვის გამოსვლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ყოფილი საბჭოთა პოლიტპარტიმარი ვიქტორ დავილოვი, რომელსაც ყაზანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ორწელიწადანხევრის განმავლობაში "მკურნალობდნენ" ანტიბაბჭოური სტატიის გამოქვეყნებისათვის. მისი განცხადებით, სერბსკის ინსტიტუტის ორი ფსიქიატრი, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი მოთავსებისათვის, დღესაც აგრძელებენ თავიანთ მოღვაწეობას, ხოლო ის ექიმი, ვისი განკარგულებითაც 1980 წელს ყაზანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დავილოვი დამარხდებოდა, წამლებით "მკურნალობდნენ"; დღეს ამავდ საავადმყოფოს მთავარი ექიმია.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოშია. ახალგაზრდა სამართალდამცველის, მასწავლებლისა და ჟურნალისტის ნაზი შამანაურის ფსიქიატრი-მკვლელები კვლავაც აგრძელებენ თავიანთ მოღვაწეობას (მათი ვინაობა მოყვანილია სასწაულით გადარჩენილ ნაზი შამანაურის დღიურებში).

ათენში გაიმართა ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის მორიგი კონგრესი, სადაც ერთი ხმის უპირატესობით საბჭოთა ფსიქიატრთა აღდგენილი იქნა მსოფლიო ასოციაციის წევრად.

როგორც ეტყობა, "გლასტონტის" და "პერესტროიკის" მარტო ჩვენში როდი შეყავს შეცდომაში პატიოსანი ადამიანები.

კითხვი

6 დეკემბერს კიევში შედგა მრავალთმადიანი საპროტესტო აქცია, რომელშიც გაიმართა იმ შენობის წინ, სადაც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მიხეილ გორბაჩოვი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი.

დემონსტრანტებს გამოტანილი ჰქონ-

დათ უკრაინის ეროვნული დროშები, აგრეთვე ტრანსპარანტები, რომლებზეც ეწერა: "გაუმარჯოს დამოუკიდებელ უკრაინას!" "ძირს ცენზურა!" და სხვა.

ამჟერად აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა, მილიციისა და სუკ-ის ძალების უხეშ ჩარევას აღვილი არ ჰქონია.

პაკისტანი

პეშავარში მიღწეულ იქნა შეთანხმება, ავღანეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ჰეზბი ისლამისა და ჯამიათ ისლამის დაჯგუფებებს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

შეთანხმების თანახმად, ორივე დაჯგუფებამ ვალდებულია იკისრა, ამიერიდან გაერთიანებული ძალებით იბრძო-

ლოს ქაბულში მოკალათებული ნაჯიბულას უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიესალმება მოჯაჰედინთა ერთიანობას და უსურვებს, ახლო მომავალში გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევას.

ინფორმაცია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, პარტიის მდივნისა და მთავარი კომიტეტის წევრობის მოვალეობისაგან განთავისუფლებულ იქნა ირაკლი ძალაგიშვილი.

პარტიის მდივნად არჩეულია მთავარი კომიტეტის წევრი ბურამ ჩახვაძე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი

ზურაბ ჭავჭავაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ირინა სარგიშვილი

სარედაქციო კოლეგია: შიძრია იაკობიშვილი, გიორგი მელაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად ძაწარია, გიორგი ზანტურია, შაჰო შიძია (პრესცენტრის პასუხისმგებელი მდივანი).

ტელ.: 36-03-48, 78-06-15.